

დანართი 2

თავი VI. ინკლუზიური განათლება

მუხლი 33. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

მუხლი 34. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
 - ა) ფიზიკური დარღვევა;
 - ბ) ინტელექტუალური დარღვევა;
 - გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
 - დ) მეტყველების დარღვევა;
 - ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
 - ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
 - ზ) სირთულეებით სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

მუხლი 35. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. იგი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს ყველა საგანში ან რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
3. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა დაიგეგმოს/განისაზღვროს:
 - ა) რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებას. შერჩეულ საგნებში განისაზღვრება სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები;
 - ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობასა თუ მასალას;
 - გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების დრო, ადგილი და ხანგრძლივობა;
 - დ) დამატებით და/ან ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი; სსსმ

მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი, მიძა) საჭიროება;

8. ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);
9. ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი (ავტობუსით მომსახურების საჭიროება, კომპიუტერთი სარგებლობის აუცილებლობა, მისთვის საჭირო სასკოლო ავეჯის აუცილებლობა, დასვენების საჭიროება და სხვ.);
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით;
11. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლის სიღრმისეული შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლას შეუძლია მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი). თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.
12. ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, ლოგოპედი ან სპეციალური მასწავლებელი, თუკი სკოლას ჰყავს ასეთი;
13. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი. კოორდინატორი წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფის კოორდინატორი მიზანშეწონილია იყოს სსსმ მოსწავლის დამრიგებელი;
14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს;
15. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში;
16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.
17. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).

მუხლი 36. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, ამ გეგმის მე-20 მუხლის შესაბამისად.
3. გამონაკლისის შემთხვევაში დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა

წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ გეგმის 22-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.
5. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა მოახდინოს საგამოცდო მასალის ადაპტირება - უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მუხლი 37. სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგძლივი ჰოსპიტალიზაცია, ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლის განათლების მიღება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შინ სწავლების მეთოდით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს; სკოლა უდგენს მას სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის და აგრეთვე სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენება, თუკი სკოლას ამის შესაძლებლობა აქვს, ეფექტურია დროისა და ფინანსების დაზოგვის მიზნით. ვიდეოკონფერენციის გამოყენება საშუალებას მისცემს მასწავლებელს, ვიზიტების შუალედში სკოლიდან გაუსვლელად აწარმოოს სსსმ მოსწავლის სახლში მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება; გაუწიოს კონსულტაცია სსსმ მოსწავლესა და მის მშობელს, მეურვეს ან სხვა პირს, რომელიც მოსწავლის სახლში მეცადინეობაზე პასუხისმგებელი და ა.შ.
6. მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში:

კლასი	I-IV	V-VI	VII-IX	X-XII
მინიმალური (ასტრონომიული) საათები კვირის მანძილზე	5 სთ	6 სთ	8 სთ	8 სთ

მოდულიზებული სასწავლო გეგმის ნიმუშები

1. მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ზოგადი ინფორმაცია

მოსწავლე (სახელი, გვარი)	
სკოლა (რომელ სკოლაში დადის ბავშვი)	
კლასი (რომელ კლასში ირიცხება ბავშვი)	
დაბადების თარიღი (ბავშვის დაბადების თარიღი)	
ასაკი (ბავშვის ასაკი)	
მშობელი/მეურვე (ბავშვის მშობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი)	
ტელეფონი (ბავშვის ოჯახთან საკონტაქტო ტელეფონი)	
მისამართი (ბავშვის სახლის მისამართი)	

მოსწავლის ისგ-ზე პასუხისმგებელი პირი:

პირველივე შეხვედრაზე ხდება გადაწყვეტილების მიღება, თუ ვინ იქნება ისგ-ს შედგენაზე პასუხისმგებელი პირი, ვინ გაუწევს კოორდინირებასა და ორგანიზებას მომავალ შეხვედრებს. პრაქტიკული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ისგ-ს შეხვედრის ორგანიზატორი სასურველია იყოს ბავშვის კლასის დამრიგებელი, რაც აადვილებს სხვადასხვა საგნის მასწავლებელსა და სპეციალისტს შორის ურთიერთობას.

მოცემულ ცხრილში აღინიშნება შეხვედრის ტიპი და თარიღი. შესაძლებელია პირველივე შეხვედრაზე განისაზღვროს მომავალი შეხვედრების თარიღები (თუნდაც სავარაუდო), რაც მონაწილე მხარეებს დაეხმარება პრაქტიკულად განხორციელებადი მიზნებისა და აქტივობების განსაზღვრაში.

შეხვედრის ტიპი	X (მონიშნეთ)	თარიღი
საწყისი შეხვედრა		
შეხვედრა საჭიროებით განსაზღვრული		
შეხვედრა I, II სემესტრის ბოლოს		
საბოლოო შეხვედრა/შეფასება		

ისგ შეხვედრის თარიღი:

ისგ-ს შეხვედრის მონაწილეები[1]

	მშობელი/მეურვე	სახელი-გვარი	
1	დედა		
2	ბებია		
	სკოლის გუნდი	სახელი-გვარი, ტელეფონი	საგანი
1	დამრიგებელი		ქართული
2	მასწავლებელი		ბუნება
3	მასწავლებელი		მათემატიკა
4	სპეციალური მასწავლებელი		

პირველივე შეხვედრაზე ხდება მოსწავლის ისგ-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა ანუ ისგ-ს გუნდის ჩამოყალიბება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი).

	სხვა სპეციალისტები	სახელი-გვარი, ტელეფონი
1	ფსიქოლოგი	
2	ოკუპაციური თერაპევტი	
3		

ცალკეულ შემთხვევებში სასურველია, თუ შეხვედრას დაესწრება თვითონ მოსწავლეც.

მოსწავლის ისგ-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი

	მშობელი/მეურვე	სახელი-გვარი	
1	დედა		
	სკოლის გუნდი	სახელი-გვარი, ტელეფონი	საგანი
1	დამრიგებელი		ქართული
2	მასწავლებელი		ბუნება
3	მასწავლებელი		მათემატიკა
4	სპეციალური მასწავლებელი		

თითოეულ შეხვედრაზე, განსაკუთრებით კი პირველ შეხვედრაზე, აუცილებელია განისაზღვროს, როგორც მშობლის (ან მოსწავლის), პრიორიტეტი თუ რას უნდა, რომ მისმა შვილმა მიაღწიოს დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტულ აკადემიურ საგანში და ასევე, მასწავლებლის სურვილი, თუ რა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს, მისი აზრით, ბავშვს და რაში სჭირდება დამატებითი დახმარება.

მშობლის პრიორიტეტი და ინტერესი: გამოსწორდეს მოსწავლის ქცევა კლასში, ასრულებდეს საშინაო დავალებებს.

ქართული ენის მასწავლებლის სურვილი: ასრულებდეს მითითებებსა და საკლასო დავალებებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასება, რათა განისაზღვროს მისი ფუნქციონირების დონე, ძლიერი და სუსტი მხარეები და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შემუშავდეს ბავშვისთვის ადეკვატური გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. **ბავშვთან მუშაობის პროცესში ვეყრდნობით ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებს და მათი საშუალებით ვმუშაობთ მის საჭიროებებზე.** თუ ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების შეფასება, საჭირო რესურსების (მაგ., სკოლის ფსიქოლოგი) ნაკლებობის გამო, შეუძლებელია, აუცილებელია გაკეთდეს მისი აკადემიური შეფასება - რა შეუძლია და რა არ შეუძლია და სპეციალური მასწავლებლის მიერ შეფასდეს შესაძლო ცვლილებები ბავშვის სასწავლო პროგრამაში და სწავლების სტრატეგიებში ბავშვზე დაკვირვების გზით.

შეფასების შედეგები[2]

სფერო	ძლიერი მხარეები		სუსტი მხარეები
აკადემიური უნა რები:	წერა	იცავს რვეულში წერისას სიტყვებს შორის მანძილს. იწერს ორმარცვლიან სიტყვას. კარნახით წერს სამ ასოიან სიტყვს. დაფიდან რვეულში იწერს სიტყვას.	ასოები დამახინჯებულია, ძალიან დიდი.
	კითხვა	შეუძლია სამ-ოთხ ასოიანი სიტყვის წაკითხვა.	არ შეუძლია ორმარცვლიანი სიტყვის დამარცვლა.
	თხრობა	შეუძლია მოთხრობისგარშემო მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა.	ვერ ყვება მარტივ მოთხრობას.
	ანგარიში	შეუძლია მექანიკური დათვლა 40-ის ჩათვლით. საგნების რაოდენობის განსაზღვრა ხუთის ფარგლებში.	არ შეუძლია: ერთიანების მიმატება 15-ის ფარგლებში. რიცხვების წერა 20-იდან 40-ის ჩათვლით. რიცხვების დალაგება 40-ის ჩათვლით. 5-ს ფარგლებში მიმატება ნებისმიერი კომბინაციით. მაგალითის შედგენა.

შემეცნებითი უნარები (ყურადღება, მხედრობა, აღქმა)	შეუძლია: ფერის, ფორმისა და ზომის იდენტიფიკაცია; მარტივი გეომეტრიული ფიგურების ჩვენება; მსგავსი ფიგურების გარჩევა; ყურადღების კონცენტრაცია; მარტივი საგნების ერთ კატეგორიაში გაერთიანება (ვაშლი, ბანანი - ხილი) და ერთი კატეგორიის საგნებს შორის განსხვავებულის მოძებნა. (ვაშლი, ბანანი, კიტრი).	არ შეუძლია გეომეტრიული ფიგურების დასახელება; მხედრობის მოცულობა შევიწროვებულია (5 გამეორების შემდეგ 8 სიტყვიდან იმახსოვრებს მხოლოდ 4-ს).
ემოციური სფერო და სოციალური უნარები	შეუძლია მისალმება დამშვიდობება დამოუკიდებლად; მოკითხვაზე პასუხის გაცემა;	ახალ სიტუაციაში/ადამიანთან შფოთვა და კომუნიკაციაზე უარი.
კომუნიკაციის უნარი ენა/შეტყველება	ყოველდღიური მეტყველება გრამატიკულად გამართულია და ადეკვატური.	ვერ ყვება მარტივ მოთხრობასა და ამბავს; თავს არიდებს ვერბალურ პასუხებს.
მსხვილი მოტორული უნარები	ასაკის შესაბამისადაა განვითარებული.	-
ნატივი მოტორული უნარები	შეუძლია მარტივი გეომეტრიული ფიგურების გამოჭრა. წერს ასოებსა და რიცხვებს. შეუძლია გამომერწვა - გაფერეფება.	-
ქცევა	ნაცნობ გარემოში ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს.	· უცხო გარემოში/ადამიანთან არ იცავს წესებს, არ ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს. · ადვილად იღლებს.
საგანმანათლებლო გარემო	რესურსი	ბარიერი
რესურს-ოთახი	მოკლე სამუშაო პერიოდები; მარტივი, თვალსაჩინო ინსტრუქციები.	
ზოგადსაგანმანათლებლო კლასი	აქტივობების მრავალფეროვნება; კლასში დამხმარე თანაკლასელი.	მოსწავლეების რაოდენობა (კლასში 40 ბავშვია); გაკვეთილის ხანგრძლივობა.

საგანი: ბუნება მასწავლებელი: -----

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი[4]

განმხორციელებელი: _____

მიზანი: ბუნებრივი მოვლენების ცნობა/დახასიათება

მიზნის მიღწევის შეფასების პრინციპები: 0 - ვერ ასრულებს, 1- ასრულებს დახმარებით; 2 -

ასრულებს დამოუკიდებლად;

(არ ვაკეთებთ არანაირ აღნიშვნას, თუ მოცემული აქტივობა ამ დღეს არ განხორციელდა. მიზანი მიღწეულად ითვლება, თუ ბავშვი სულ ცოტა 5-ჯერ შეასრულებს მიცემულ დავალებას სწორედ და დამოუკიდებლად).

მიზნის შესაბამისი აქტივობები		მასალა	სად სრულდება აქტივობა (კლასი, რესურს ოთახი)	მასალის მომზადება (აუზი, პასუხისმგებელი პირი (მშობელი, პედაგოგი, სკოლის ფსიქოლოგი, დოქტორი))	აქტივობის განხორციელება (აუზი, პასუხისმგებელი პირი)
22">1	სურათებიდან მასწავლებლის მიერ დასახელებული ბუნებრივი მოვლენის შესაბამისი სურათის გამორჩევა/თითის დადება.	სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის ამსახველი პლაკატები, ალბომები	კლასი	პედაგოგი	პედაგოგი
22">2	ბუნებრივი მოვლენის შესაბამისი სურათის გაფერადება.	გასაფერადებლები	კლასი	მშობელი	პედაგოგი
22">3	ბუნებრივი მოვლენის დახატვა.	ფლომასტერები, ქაღალდი	რესურს-ოთახი	სპეც. პედაგოგი	სპეც. პედაგოგი
22">4	ბუნებრივი მოვლენის გარშემო დასმულ მარტივ შეკითხვაზე ერთსიტყვიანი პასუხის გაცემა.		კლასი	პედაგოგი	პედაგოგი
22">5	წელიწადის დროების მექანიკური ჩამოთვლა თანამიმდევრობის დაცვით.		კლასი	პედაგოგი	პედაგოგი
22">6	წელიწადის დროების შესაბამისი სურათის გაფერადება.	გასაფერადებლ ები, ფლომასტერები და/ან ფანქრები	რესურს-ოთახი	მშობელი	სპეც. პედაგოგი

	სურათებიდან მასწავლებლის მიერ დასახელებული წელიწადის დროის შესაბამისი სურათის	სახელმძღვანელო			
22"> 8	წელიწადის დროების გარშემო დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.		კლასი	პედაგოგი	პედაგოგი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა[5]

საგანი: ქართული მასწავლებელი: -----

გრძელვადიანი მიზანი/ები (მოცემულ გრაფაში იწერება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მიზანი ბავშვის შესაძლებლობებისა და კლასის გათვალისწინებით, რომელსაც ბავშვმა წლის ბოლოს უნდა მიაღწიოს).

მოთხოვნის მოკლე შინაარსის დამოუკიდებლად გადმოცემა; გამოსაკვლევი საკითხის შესახებ კითხვების დასმა; მარტივი წინადადების კარნახით ჩაწერა.

მოკლევადიანი მიზანი/ები		თარიღი
1	მოთხოვნის შინაარსის აზრსა და დაყოფა და კითხვა – პასუხით გადმოცემა;	
2	სურათის შესაბამისად მარტივი კითხვების დასმა;	
3	ორმარცვლიანი სიტყვების კარნახით ჩაწერა.	

მიზნის შესაბამისი აქტივობები	მასალა	სადსრულდება აქტივობა (კლასი, რ. ესურსოთახი)	მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი (მშობელი, პედაგოგი, სკოლის ფსიქოლოგი და სხვა.)	აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
1	მარტივი მოთხოვნის აზრსა და დაყოფა და თითოეული აზრის შესაბამისი კითხვების დასმა	პროგრამის შესაბამისი მოთხოვნების ადაპტირებული (შემოკლებული და გამარტივებული) ვარიანტები	კლასი	პედაგოგი

თემატური ვებგვერდები

სმენის დაქვეითება	დაუნის სინდრომი	გენეტიკური ი დარღვევები	მეტყველების პრობლემები
www.agbell.org www.asha.org www.cfv.org www.captions.org www.handspeak.com www.nad.org www.nih.gov www.phonicear.com www.deaflibrary.org www.gohear.org	www.acds.org www.lalecheleague.org www.ds-health.com www.dsoag.com www.downscity.com www.downsnet.org www.growthcharts.com www.nads.org www.ndsccenter.org www.downsyndrome.com www.ndss.org www.ds-health.com www.Downsyrndrome.com www.geocities.com/Heartland/	www.birthdefects.org www.marchofdimes.org www.teratology.org	www.asha.org www.bornlearning.org www.childdevmedia.com www.childdevmedia.com www.childdevmedia.com www.kidsource.com www.wriedu.org/bookplay/ www.childdevmedia.com www.nidcd.nih.gov www.edact.com www.childdevmedia.com www.childdevmedia.com
მხედველობა და სმენა	მხედველობის დაქვეითება	სწავლის უნარის დაქვეითება	გონებრივი განვითარების დარღვევა
www.tr.wou.edu/dblink/aadb.htm www.babyhearing.org www.helenkeller.org/ www.tr.wou.edu/dblink www.tr.wou.edu/ntac	www.acb.org www.afb.org www.blindkids.org www.aao.org www.angelfire.com www.navh.org www.nfb.org www.viguide.com	www.ldhope.com www.ldanatl.org www.slam.nhs.uk www.nclld.org www.specialkids1.com	www.aamr.org www.bestbuddies.org www.cdc.gov/ncbddd/dd/ddmr.htm www.thearc.org